**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

10/10/2024

MES 9 24 0001312010

გადაწყვეტილება

შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1^1 პუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიას (ს/კ: 204861961) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 800-ით, მათ შორის: „სამკურნალო საქმის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართულენოვანი) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით, მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 450-ით.
2. შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი).
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 26 სექტემბერს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის №1311986 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის შესახებ, ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ

ელექტრონული
ფაქსიმილე
ელექტრონულად

დანართი 1 ა. დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამა	საფეხური	სწავლების ენა	ECTS	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული, აკრედიტებული, პირობით აკრედიტებული, საერთაშორისო აკრედიტაცია)	შესაბამისი გადაწყვეტილების ნომერი	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი
1	სამკურნალო საქმე	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	ქართული	360	0912 მედიცინა	დიპლომირებული მედიკოსი	აკრედიტებული	599367	13.07.2020
2	მედიცინა (ინგლისურენოვანი)	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	ინგლისური	360	0912 მედიცინა	დიპლომირებული მედიკოსი	აკრედიტებული	599368	13.07.2020
3	მედიცინის მეცნიერებები	დოქტორანტურა	ინგლისური	30	0912 მედიცინა	მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი	ახალი		

დანართი 1 ბ. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები/სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	უმაღლესი განათლების საფეხური	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ECTS	პროგრამის სტატუსი (არააკრედიტებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/საერთაშორისო აკრედიტაცია)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა	პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია / საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	მაგისტრატურა	ინგლისური	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი; 0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული	120	აკრედიტებული	გადაწყვეტილ ება №12956, 10.01.2024